საკანონმდებლო სიახლეების ცნობარი

(2019 წლის იანვარი-თებერვალი)

მოცემული ცნობარი შეეხება მნიშვნელოვან საკანონმდებლო ცვლილებებს, რომელიც განხორციელდა სხვადასხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტებში 2019 წლის იანვარ-თებერვლის თვეებში.

საქართველოს ორგანულ კანონში „საქართველოს შრომის კოდექსი“

2019 წლის 19 თებერვალს რამდენიმე ცვლილება შევიდა საქართველოს ორგანულ კანონში „საქართველოს შრომის კოდექსი“, კერძოდ მისი მე-3 და მე-4 პუნქტები ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით:

„3. შრომით და წინასახელშეკრულებო ურთიერთობებში, მათ შორის, ვაკანსიის შესახებ განცხადების გამოქვეყნებისას და შერჩევის ეტაპზე, აკრძალულია ნებისმიერი სახის დისკრიმინაცია რასის, კანის ფერის, ენის, ეთნიკური და სოციალური კუთვნილების, ეროვნების, წარმოშობის, ქონებრივი ან წოდებრივი მდგომარეობის, საცხოვრებელი ადგილის, ასაკის, სქესის, სექსუალური ორიენტაციის, შეზღუდული შესაძლებლობის, რელიგიური, საზოგადოებრივი, პოლიტიკური ან სხვა გაერთიანებისადმი, მათ შორის, პროფესიული კავშირისადმი, კუთვნილების, ოჯახური მდგომარეობის, პოლიტიკური ან სხვა შეხედულების გამო ან სხვა ნიშნით.

4. დისკრიმინაციად ჩაითვლება პირის პირდაპირ ან არაპირდაპირ შევიწროება, რომელიც მიზნად ისახავს ან იწვევს პირის ღირსების შელახვას და მისთვის დამაშინებელი, მტრული, დამამცირებელი, ღირსების შემლახველი ან შეურაცხმყოფელი გარემოს შექმნას, ანდა პირისთვის ისეთი პირობების შექმნა, რომლებიც პირდაპირ ან არაპირდაპირ აუარესებს მის მდგომარეობას ანალოგიურ პირობებში მყოფ სხვა პირთან შედარებით.“;

მე-6 პუნქტის შემდეგ დაემატა შემდეგი შინაარსის მე-7 პუნქტი:

„7. აკრძალულია დასაქმებულისთვის შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტა ან/და მის მიმართ ნებისმიერი სახის უარყოფითი მოპყრობა და მასზე ზემოქმედება იმის გამო, რომ დასაქმებულმა დისკრიმინაციისაგან დასაცავად განცხადებით ან საჩივრით მიმართა შესაბამის ორგანოს ან ითანამშრომლა მასთან.“.

Legal Consulting Center LLC
add: K. Gamsakhurdia st. #13. Batumi, Georgia
Beliashvili st. #8. Tbilisi, Georgia
ID: 445392227
www.legalconsulting.ge
info@legalconsulting.ge

მე-5 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით:
„1. დამსაქმებელი უფლებამოსილია მოიპოვოს კანდიდატის შესახებ ინფორმაცია, გარდა იმ ინფორმაციისა, რომელიც არ არის დაკავშირებული სამუშაოს შესრულებასთან და არ არის საჭირო კანდიდატის მიერ კონკრეტული სამუშაოს შესრულების შესაძლებლობის შესაფასებლად და შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად. ამასთანავე, დამსაქმებელს უფლება არ აქვს, კანდიდატს მოსთხოვოს მისი რელიგიის, რწმენის, შეზღუდული შესაძლებლობის, სექსუალური ორიენტაციის, ეთნიკური კუთვნილების, ორსულობის შესახებ ინფორმაცია, გარდა იმ შემთხვევისა, როცა არის ამ კანონის მე-2 მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებული განსხვავების აუცილებლობა.“;
მე-8 პუნქტის შემდეგ დაემატა შემდეგი შინაარსის მე-9 პუნქტი:
„9. წინასახელშეკრულებო ურთიერთობისას შრომითი ხელშეკრულების დადებამდე დამსაქმებელი ვალდებულია კანდიდატს გააცნოს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული დებულებები პირთა მიმართ თანაბარი მოპყრობის პრინციპის და მისი დაცვის საშუალებების შესახებ, მიიღოს ზომები სამუშაო ადგილზე პირთა მიმართ თანაბარი მოპყრობის პრინციპის დაცვის უზრუნველსაყოფად, მათ შორის, დისკრიმინაციის ამკრძალავი დებულებები ასახოს შრომის შინაგანაწესში, კოლექტიურ ხელშეკრულებებსა და სხვა დოკუმენტებში და უზრუნველყოს მათი შესრულება.“.

ბრძანება ამოქმედდა გამოქვეყნებისთანავე, 2019 წლის 19 თებერვალს.

საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანება №42

2019 წლის 14 თებერვალს საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანება №42-ით დამტკიცდა დამატებული ღირებულების გადასახადის დეკლარირებით დასაბრუნებელი ზედმეტად გადახდილი თანხების ავტომატური დაბრუნების წესი და პირობები, რომელიც განსაზღვრავს გადასახადის გადამხდელისათვის მის მიერ ზედმეტად გადახდილი დამატებული ღირებულების გადასახადის თანხის ავტომატურად დაბრუნების პირობებს და ამ მიზნით განსახორციელებელ პროცედურას. ამ წესით გათვალისწინებული დებულებები არ ართმევს გადასახადის გადამხდელს უფლებას, ზედმეტად გადახდილი დამატებული ღირებულების გადასახადის (შემდგომში - დღგ) თანხა დაიბრუნოს საქართველოს საგადასახადო კოდექსის 63-ე მუხლის მე-8 ნაწილის შესაბამისად. დამატებული ღირებულების გადასახადის დეკლარირებით დასაბრუნებელი ზედმეტად გადახდილი თანხების ავტომატური დაბრუნების წესი განსაზღვრავს ზედმეტად გადახდილი დამატებული ღირებულების გადასახადის თანხის გაანგარიშების ფორმას, რომელიც წარმოადგენს ელექტრონულ დოკუმენტს და რომელშიც აღირიცხება დასაბრუნებელი დამატებული ღირებულების გადასახადის თანხები.

ბრძანება ამოქმედდა გამოქვეყნებისთანავე, 2019 წლის 14 თებერვალს.

Legal Consulting Center LLC
add: K. Gamsakhurdia st. #13. Batumi, Georgia
Beliashvili st. #8. Tbilisi, Georgia
ID: 445392227
www.legalconsulting.ge
info@legalconsulting.ge

საქართველოს ფინანსთა მინისტრის №290 ბრძანება

2019 წლის 14 იანვარს რამდენიმე ცვლილება შევიდა საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადაადგილებისა და გაფორმების შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე" საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 26 ივლისის №290 ბრძანებაში კერძოდ მისი მე-4 პუნქტის „ვ" ქვეპუნქტის შემდეგ დაემატა „ზ" ქვეპუნქტი, რომელიც ეხება „სამშენებლო პროდუქტების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2018 წლის 1 ოქტომბრის №476 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტის VI დანართში მითითებული სხვადასხვა საქონლის იმპორტის სასაქონლო ოპერაციაში მოქცევის მიზნით საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოტანისთვის აუცილებელად წარსადგენი დოკუმენტების სია, როგორიცაა მაგალითად, ცემენტსა და ელექტროკაბელებზე – საქონლის მწარმოებლის მიერ გაცემული თვისებების დეკლარაცია, არმატურაზე – შემოწმების სერთიფიკატი №3 და შესაბამისობის შეფასების სერთიფიკატი, პლასტმასის მილებზე – ტექნიკური პასპორტი ან ინსტრუქციები და ა.შ.

ეს ბრძანება ამოქმედდა 2019 წლის 15 იანვარს.

საქართველოს მთავრობის №477 დადგენილება

2019 წლის 19 თებერვალს ცვლილება შევიდა „სიმაღლეზე მუშაობის უსაფრთხოების მოთხოვნების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2017 წლის 27 ოქტომბრის №477 დადგენილებაში და დადგენილებით დამტკიცებული „ტექნიკური რეგლამენტის – სიმაღლეზე მუშაობის უსაფრთხოების მოთხოვნების შესახებ" მე-2 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით:
„1. ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნების შესრულებაზე ზედამხედველობასა და კონტროლს უფლებამოსილების ფარგლებში ახორციელებენ სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის შესაბამისი ორგანოები და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტი."

დადგენილება ამოქმედდა გამოქვეყნებისთანავე, 2019 წლის 19 თებერვალს.

Legal Consulting Center LLC
add: K. Gamsakhurdia st. #13. Batumi, Georgia
Beliashvili st. #8. Tbilisi, Georgia
ID: 445392227
www.legalconsulting.ge
info@legalconsulting.ge